ოქმი:**ო31. 3124211001**
თარიღი:**29/07/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N9

ქ. ლანჩხუთი

26. 07. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ბოლქვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღეს პარიზში იხსნება ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 2024 და წარმატებები უსურვა მასში მონაწილე ქართველ სპორტსმენთა გუნდს, რასაც მიესალმენ საკრებულოს წევრებიც.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა სამი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მაია აფხაზავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომის“-თვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უსახელო ქუჩისა და გოგი ცაბაძის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო -ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალური განყოფილებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნუგზარ ბოლქვაძე/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ.** მან განმარტა, რომ ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტად გათვალისწინებული მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს:

ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე – კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

დ.ა) სამორინეს თამაშობებზე -კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი ;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე - კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორების თამაშობებზე - კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%;

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 3000 (სამი ათასი) ლარი;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

შენიშვნა: თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ მუხლით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N10(26.07.2024).

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე.**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომის“-თვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ 2007 წლის 4 დეკემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს ,,მაგთიკომს“ შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების თანახმად, გამქირავებელმა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცა ქ. ლანჩხუთში, კოსტავას ქ. N 37-ში მდებარე შენობის სახურავზე არსებული ფართი - ანტენებისა და აპარატურის განთავსების მიზნით. 2024 წლის 18 აპრილის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის N 30-302410951 წერილით შპს ,,მაგთიკომს“ ეცნობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამდა მზაობას - ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემული ფართის 10 კვ.მ-მდე შემცირებაზე (სააპარატურო შელტერის ფართი - 8 კვ.მ. და ანტენების მილების განთავსების ფართი 2კვ.მ). აღნიშნული წერილით, შპს ,,მაგთიკომს“ ასევე ეცნობა, რომ სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2024 წლის 17 აპრილის N 002559124 დასკვნის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქ. N 37 -ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.114) სახურავზე 2 კვ.მ. ფართისა და ამავე შენობის მიმდებარე 8 კვ.მ. მიწის ფართობის წლიური ქირის ოდენობად განისაზღვრა 11 400 (თერთმეტი ათას ოთხასი) ლარი. 2024 წლის 16 მაისის N ED-24/05/16-011 წერილით, შპს „მაგთიკომი“ მზადყოფნას გამოთქვამს გააფორმოს ქირავნობის ხელშეკრულება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2024 წლის 17 აპრილის N 002559124 დასკვნით განსაზღვრული ტარიფის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული წარმოდგენილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N35(26.07.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1-ლი ივლისის N 08-30241833 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულების მე-2 მუხლის შინაარსში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად, ნაცვლად - 1 196,62 (ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარისა, მითითებულია - 1996,62 (ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტექნიკური შეცდომის გასწორება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი

სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულების მე-2 მუხლის შინაარსში და უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად - 1 196,62 (ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარის მითითება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული წარმოდგენილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N36(26.07.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უსახელო ქუჩისა და გოგი ცაბაძის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 მარტის N31-31240823 მომართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი 78754/17), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ლანჩხუთში არსებული უსახელო ქუჩისთვის და გოგი ცაბაძის ქუჩის ნაწილისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების მიზნით, მისამართების გეოინფორმაციული პორტალის მეშვეობით განცხადების დასარეგისტრირებლად. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიამ დაადგინა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უსახელო ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N37(26.07.2024).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. ასევე „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში; უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით; აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას და უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას. ზემოაღნიშნულის

გათვალისწინებით აუცილებელია უსახლკარო პირი – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არ მქონე პირი, იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებული როგორც უსახლკარო. მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა და მიღება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტს, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს.

3. ეს წესი არ ვრცელდება: ა) პირებზე, რომელთა რეგისტრაცია ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, შესაბამისი კანონმდებლობით, სხვაგვარად არის დარეგულირებული; ბ) პირებზე, რომელთა რეგისტრაციის ხანგრძლივობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ აღემატება 2 წელს; გ) პირებზე, რომელთა საცხოვრებელი ფართის დაკარგვის ფაქტი ფიქსირდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ; დ) პირზე, თუ მას აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება სხვა საცხოვრებელ/არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე; ე) ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით 200 000 და მეტია.

4. ტერმინთა განმარტება: ა) უსახლკარო პირი – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არ მქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია როგორც უსახლკარო; ბ) ოჯახი – სისხლით ნათესაობისა და ქორწინების ნიადაგზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო საცხოვრებელი სივრცითა და ეკონომიკური და მორალური პასუხისმგებლობებით; გ) მარტოხელა მშობელი – სამოქალაქო კოდექსის 1191I მუხლით გათვალისწინებული მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი;

5. უსახლკარო პირთა კატეგორია: ა) ჭერის არმქონე პირები – ეს ჯგუფი მოიცავს იმ პირებს რომლებიც ცხოვრობენ ღია ცის ქვეშ; ბ) სახლის არმქონე პირები – კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ მათთვის დროებით განკუთვნილ დაწესებულებებში. მაგ. უსახლკაროთა საცხოვრისში, ქალთა თავშესაფრებში ან სხვა ტიპის თავშესაფარში, სხვადასხვა ინსტიტუციებში (სამედიცინო ინსტიტუციებში, ბავშვთა ინსტიტუციებში) რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებაში; გ) საფრთხის შემცველ/ არასაიმედო გარემოში მცხოვრები პირები – კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ გამოსახლების საფრთხის ქვეშ, ასევე, დროებით ცხოვრობენ ნათესავთან ან მეგობრებთან; დ) არასათანადო გარემოში მცხოვრები პირები – კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრისად გამოუსადეგარ კონსტრუქციებში ან ნაგებობებში, ასევე ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ სახლებში.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი.

1. ამ წესის განხორციელების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე იქმნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი

(შემდგომში – „სამუშაო ჯგუფი“).

2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრები და სხვა თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3. სამუშაო ჯგუფი შედგება არანაკლებ 7 (შვიდი) წევრისგან, მათ შორის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და სხვა წევრებისაგან.

4. თავმჯდომარეს, მისი არყოფნის შემთხვევაში, ცვლის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.

5. სამუშაო ჯგუფის წევრი ვალდებულია: ა) მონაწილეობა მიიღოს სამუშაო ჯგუფი სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით; ბ) დაიცვას წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები; გ) დაიცვას საქართველოს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

6. სამუშაო ჯგუფის სხდომები საჯაროა.

7. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი.

8. სამუშაო ჯგუფის სხდომას შეიძლება დაესწრონ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცალკეული დარგის ექსპერტები/ სპეციალისტები ან/და სხვა მოწვეული პირები. ჯგუფის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები.

9. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია: ა) შეამოწმოს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი განცხადების (დოკუმენტების) სისრულე, საფუძვლიანობა და მათი შესაბამისობა წესის მოთხოვნებთან. ბ) მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის- მისი დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ;

10. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა, და მოისმინოს დამსწრე, დაინტერესებული მხარის მიერ საქმესთან დაკავშირებული მოსაზრება.

11. სამუშაო ჯგუფი სხდომაზე გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით.

12. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით.

13. სამუშაო ჯგუფის მიერ თითოეულ განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება (დაკმაყოფილება, უარი) უნდა იყოს დასაბუთებული, რაც აისახება ოქმში.

14. ოქმს ხელს აწერენ ჯგუფის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

15. სამუშაო ჯგუფი სხდომის ოქმები და საქმისწარმოების სხვა მასალები ინახება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემდეგ უზრუნველყოს მიმდინარე გარემოებათა გამოკვლევა (მ.შ. წესითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის მონიტორინგი).

მუხლი 3. უსახლკარო პირების რეგისტრაციის პროცედურები.

1. სტატუსის მიღებით დაინტერესებული პირი ვალდებულია წარადგინოს მერიაში ამ წესით დამტკიცებული განაცხადის ფორმა.

2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს: ა) უსახლკარო პირების რეგისტრაციის შესახებ სპეციალური შევსებული ფორმა (დანართი №2); ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოწმობის ფოტო ასლი; გ) განმცხადებლის ოჯახის

წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. (არასრულწლოვანი პირების შემთხვევაში დაბადების მოწმობის ფოტო ასლები); დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრის სახელზე ქონების რეგისტრაციის არსებობის შესახებ; ელექტრონული რეგისტრაციის არ ქონის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა; ე) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განმცხადებლის და ოჯახის წევრის სახელზე შემოსავლების შესახებ; ვ) ინფორმაცია რეგისტრაციის ადგილის თაობაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან; ზ) ამ წესის მე- 4 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებით უნდა წარმოადგინოს: ა) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა; ბ) განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV- 100/ა); გ) განცხადების განხილვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

4. რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი უფლებამოსილია აწარმოოს საინფორმაციო კამპანია, ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში მერის წარმომადგენლების მიერ განსახორციელებელი მოკვლევები და შესაბამისი ფაქტის დადგენის სხვა პროცედურები.

5. რეგისტრირებულად ითვლება პირი, რომელიც წარმოადგენს სრულყოფილად შევსებულ უსახლკარო პირების რეგისტრაციის განცხადების ფორმას და შესაბამის დოკუმენტაციას, მერის შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში.

6.უსახლკარო პირების რეგისტრაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის არ წარმოშობს უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის დროებითი საცხოვრისით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მოხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და დროებითი საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის შესაბამისად.

7. ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში მერის წარმომადგენლებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული მოკვლევების შედეგად გამოვლენილი ჭერის არმქონე პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარებიან უპირობო რეგისტრაციას.

8. პირები, რომლებმაც ამ წესის ამოქმედებამდე ორი წლის განმავლობაში, დაკარგეს საცხოვრებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარებიან უპირობო რეგისტრაციას.

9. უსახლკარო პირების რეგისტრაცია გამოირიცხება ან გაუქმდება, თუ: ა) ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის, საოჯახო ან/და სხვა ისეთი გარემოების გამოვლენისას, რაც ადასტურებს განმცხადებლის/რეგისტრირებული პირის შესაძლებლობას უზრუნველყოფილ იყოს საცხოვრისით საკუთარი შესაძლებლობებით ან მის მიმართ ვრცელდება მესამე პირის ვალდებულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გათვალისწინებით) საცხოვრისით უზრუნველყოფაზე; ბ) პირი/ოჯახი აღარ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

10. რეგისტრაციის გაუქმება იწვევს დროებითი საცხოვრისი ფართით სარგებლობის შეწყვეტას.

11. პირის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე ან/და რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ბრძანების სახით.

მუხლი 4. შეფასების პროცედურები

1.დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა

რიგითობა განისაზღვრება ჯგუფის მიერ მინიჭებული შეფასების საფუძველზე.

2.უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა შეფასება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით:

ა.ა) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 57001-ზე ნაკლები – 10 ქულა;

ა.ბ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 70001-ზე ნაკლები – 8 ქულა;

ა.გ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე ნაკლები – 6 ქულა;

ა.დ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე მეტი – 4 ქულა

ბ) შშმ პირი:

ბ.ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 10 ქულა;

ბ.ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული ან/და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები –8 ქულა;

ბ.გ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები –5 ქულა.

გ) არასრულწლოვან პირთა (18 წლამდე) რაოდენობა ოჯახში:

გ.ა) 1-დან 3-ის ჩათვლით – 2 ქულა;

გ.ბ) ყოველ შემდეგ პირზე –1 ქულა. დ) მარჩენალდაკარგული პირები – 3 ქულა. ე) სახელმწიფო პენსიის მიმღები პირები – 2 ქულა;

ვ) მარტოხელა მშობელი – 2 ქულა;

ზ) მრავალშვილიანი ოჯახი – 2 ქულა.

3. შეფასების საბოლოო ქულა დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულების შეჯამებით.

4. მინიჭებული ქულა ძალაშია შეფასების განხორციელებიდან ორი წლის განმავლობაში.

5. დროებითი საცხოვრისით დასაკმაყოფილებელი პირების რიგითობა დგინდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული საბოლოო ქულების სიდიდის მიხედვით.

6. შეფასებისას თანაბარი საბოლოო ქულების მიღების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულის მქონე პირს/ ოჯახს.

7. ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით რეგისტრირებული პირები დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეფასებისა და რიგითობის გარეშე.

8. ყოველი შემდგომი შეფასება მოხდება წინა შეფასებიდან ორი წლის შემდეგ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და არსებული საცხოვრებელი

ფართების რესურსების შესაბამისად.

9. საცხოვრისის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ჯგუფის გადაწყვეტილება.

მუხლი 5. საცხოვრებლით სარგებლობის ვადა და პირობები

1. საცხოვრისით სარგებლობის მინიმალური ვადა განისაზღვრება ხუთი წლით, ხოლო შემდგომი ვადა დამოკიდებულია მონიტორინგის შედეგებზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და პირობების შესრულებასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განახლებული მონაცემების გათვალისწინებით (სარეიტინგო ქულა).

2.საცხოვრისით მოსარგებლე პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას გადაცემული ფართით სარგებლობაზე, რაც ავტომატურად იწვევს მისთვის რეგისტრაციის, ქულისა და რიგითობის გაუქმებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს უფლება აქვს პირს შესთავაზოს საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს 1 წლით. ქირის მაქსიმალური თვიური ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარით.

4.დროებითი საცხოვრებლით მოსარგებლე პირთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ორმხრივი უფლებები და ვალდებულებები.

5.დროებითი საცხოვრებლით მოსარგებლე პირი ვალდებულია დროულად გადაიხადოს კუთვნილი კომუნალური გადასახადები.

6. დროებითი საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის შესაბამისად ჯგუფის უფლება აქვს სულადობის მიხედვით მოახდინოს ფართების მონაცვლეობა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N38(26.07.2024).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საფინანსო წლის განვლილ პერიოდში სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ანალიზისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის წინადადების გათვალისწინებით „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის დაფინანსების 6300 ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“ 3000 ლარით და „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების“ პროგრამის დაფინანსების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ დაფინანსება 11300 ლარით. ა(ა)იპ„ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის“ წერილის

განხილვიდან გამომდინარე შრომის ანაზღაურების მუხლის 10000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოცუზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით. აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ბიუჯეტის ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N39(26.07.2024).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2024 წლის 12 ივლისის N 08-30241942 მოხსენებითი ბარათის თანახმად, 2023 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა მოახდინა მის საკუთრებაში არსებული სოფელ ნიგვზიანში მდებარე საბავშო ბაღის შენობის დემონტაჟი. დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალები დასაწყობებულ იქნა და შეფასდა „სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ (დასკვნა N 5006935923 მომზადების თარიღი 31.10.2023 წელი). ,,სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ (დასკვნა N 5006935923 მომზადების თარიღი 31.10.2023 წელი) შეფასებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ ნიგვზიანში საბავშვო ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალის ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა მეორადი აგური და ტუფის ქვა, აგრეთვე დადგინდა ჯართის რაოდენობა, რამაც გამოიწვია დასკვნაში არსებული ღირებულების 9200 (ცხრაათას ორასი) ლარის ცვლილება და საწყის საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 8 990 (რვა ათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარი. ელექტრონული აუქციონის ორჯერ გამოცხადების გზით ზემოაღნიშნული ქონების განკარგვა ვერ განხორციელდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა 2024 წლის 15 მაისს გამოაცხადა განმეორებითი ელექტრონული აუქციონი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ ნიგვზიანში საბავშვო ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალაზე, რომლის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენდა საწყისი საფასურის 8 990 (რვა ათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარის 55% -ს რამაც შეადგინა 4944,5 (ოთხიათას ცხრაას ორმოცდაოთხი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი, აუქციონი დასრულდა 2024 წლის 20 მაისს, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მოძრავი ქონების გასხვისება არც ამჯერად მომხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - დანართი N 1-ში წარმოდგენილი, ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ნიგვზიანში საბავშვო ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალის განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური 8 990 (რვა ათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარი შემცირდეს 70%-ით და საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 2 697 (ორიათას ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი, ხოლო ბიჯის სიდიდე განისაზღვროს შეცვლილი საპრივატიზებო საფასურის 10 %-ის - 269,70 (ორასსამოცდაცხრა ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული წარმოდგენილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N40(26.07.2024).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო -ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალური განყოფილებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური, მიზანშეწონილად მიიჩნევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სამეგრელო - ზემო სვანეთის და გურიის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლანჩხუთის მუნიციპალურ განყოფილებას, მისი წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, გადაეცეს 2026 წლის პირველ იანვრამდე, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, განკარგულების პროექტის დანართში ჩამოთვლილი მოძრავი ქონება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N41(26.07.2024).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ბოლქვაძემ. მან განმატა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი აქვთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნინოშვილის, აცანის და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობა ღირებულებით 400000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N42(26.07.2024).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ

ერთეულში გაკეთდა ახალი წყალმომარაგების სისტემა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო წყლის პრობლემა კვლავ აქტუალურია და მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლებისგან ელოდება დახმარებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახლახან გაკეთდა ხიდი, რომელსაც არ აქვს მოაჯირი და უსაფრთხოების თვალსაზრისით აუცილებელია მისი დამონტაჟება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ზაფხულის დადგომასთან ერთად წყლის პრობლემა მწვავედ დადგა აცანის ადმინისტრაციულ ერთეულშიც.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ მან მუნიციპალიტეტის მერთან, **ალექსანდრე სარიშვილთან** ერთად მოინახულა ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახლად გაკეთებული ხიდი და აღნიშნა, რომ იგი საჭიროებს გაფართოებას, რათა გაუკეთდეს მოაჯირი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 ივლისი 2024 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 35	
2	ემზარ თევდორაძე	11 35	
3	ვერიკო კვირკველია	11 35	
4	გიორგი ჩახვაძე	11 35	
5	გიორგი ხელაძე	11 00	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 35	
7	ზაზა წულაძე	11 50	
8	კარლო კვიტაიშვილი	—	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 45	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 58	
15	ლოლიტა ურუშაძე	12:00	
16	ნინო მშვიდობაძე	12:00	
17	გოგი მორჩილაძე	12:00	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-53	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე	11 00	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 50	
23	კახა თედორაძე	11 55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 35 -	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		